ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1733964

ნომერი: AR1282101

თარიღი : 28.01.2015

გაცემის თარიღი : 16.02.2015

გაცნობის თარიღი : 16.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფ. დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფ. დიღომი , (ნაკვ. 038/340) მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სიმონი ყრუაშვილი პ/ნ 35001040592
- ათონელის ქ. N29

ორგანიზაცია:
- შპს ამხანაგობა ჩვენი სახლი კოდი: 404991167

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2009 წ. №549 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28.01.2015 წ. #AR1282101 განცხადებით მომართეს შპს „ამხანაგობა ჩვენი სახლის“ დირექტორმა სიმონ ყრუაშვილმა და ხვიჩა წიკლაურმა და მოითხოვეს სამსახურის 01.07.2009 წ. №549 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 01.07.2009 წ. ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.038.341, ფართობი: 799 კვ.მ.) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით გაიცა №549 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 21.12.2012 წ. #481974 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.72.14.038.922 ფართობი – 1923 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულს შეცვლილი აქვს პარამეტრები.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2009 წ. №549 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.72.14.038.922, ფართობი – 1923 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2009 წ. №549 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 1923 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - #01.72.14.038.922;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2009 წ. №549 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 21.12.2012 წ. #481974 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.